დიდი სქიზმის ნიშნები და საფრთხეები

უკრაინაში მიმდინარე სამარი მოქმედებებიდან გამომდინარე საქართველოში კვლავ ხდება უკრაინის სქიზმატური "ეკლესიის" აღიარების საკითხის წამოწევა. ამის შესახებ რიგმა სასულიერო პირებმაც განაცხადეს. საინფორმაციო სივრცეში დაიდო იმ მღვდელმთავრების სია და ფოტოები, რომლებიც, თითქოს, მხარს უჭერენ სქიზმატური ეკლესიის აღიარებას. მათ შორის უმრავლესობა კარგად ცნობილი ლიბერალი თუ მოდერნისტი სასულიერო პირია, რომლებიც ნაცხელისუფლების ლობის წარმოადგენდნენ ეკლესიაში, მის დაკვეთებს ახმოვანებდნენ და ადრეც ღიად უჭერდნენ მხარს სქიზმატების აღიარებას. არიან კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეს ემისრებიც საქართველოში, რომელთა საქმიანობასთან დაკავშირებით ჩვენ ვწერდით წერილში "შეთქმულება პატრიარქისა და ეკლესიის წინააღმდეგ!" (https://www.religia.ge/01_shetqmuleba.pdf).

ვიხილეთ ისინიც, ვინც ადრე ზემოთ აღნიშნულთა წრეს არ განეკუთვნებოდნენ და არ გამოსულან ღიად სქიზმატური "ეკლესიის" მხარდასაჭერად. მათთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რატომ შეიცვალეს პოზიცია? სავარაუდოდ მათი მეტამორფოზის მიზეზი რუსეთის სამარი მოქმედებებია უკრაინაში – ანუ პოლიტიკური ხასიათის მოვლენები. ეკლესიისთვის კი ასეთი მიდგომა ყოვლად მიუღებელია, რადგან ეკლესია პოლიტიკის მიღმა არსებობს და მისი ცხოვრება და ქმედება საეკლესიო კანონიკურ სამართალს ექვემდებარება და არა კონიუნქტურულ მოსაზრებებსა თუ პოლიტიკურ მოვლენებს. აქვე აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო პოლიტიკას სწორედ ის ძალები ქმნიან, რომლებიც სულაც არ არიან კეთილგანწყობილნი ქრისტეს ეკლესიის მიმართ და ყველანაირად ცდილობენ მის დასუსტებას, მათ შორის განხეთქილებების გზით. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სამიოდე წლის წინ უკრაინის სქიზმატური "ეკლესიის" შექმნა და მისთვის ე.წ. ტომოსის მინიჭება. დღესაც ეს ძალები ცდილობენ გამწვავებული პოლიტიკური ვითარების ფონზე უფრო მასშტაბური განხეთქილების მოწყობას, რომელიც უკვე გასცდება უკრაინის ეკლესიის საზღვრებს და მსოფლიო ეკლესიის სისავსეს შეეხება.

ჩვენთვის გულსატკენი იყო სქიზმატების მხარდამჭერთა შორის მეუფე გიორგის ხილვა. ქადაგების შემდეგ მან გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ის ცდილობს დაასაბუთოს თავისი პოზიცია საეკლესიო სამართლის საფუძველზე, მაგრამ სრულიად უმართებულოდ. მის მიერ მოხმობილი ისტორიული ცნობები, რომელთა წყაროსაც იგი არ ასახელებს, არ არის ისტორიოგრაფიაში ავტორიტეტულად მიჩნეული, ხოლო საეკლესიო კანონების ინტერპრეტაცია ფანარას (უბანი სტამბულში, სადაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მდებარეობს) სამართლებრივ ლოგიკას ეხმიანება.

დავიწყოთ იმით, რომ მეუფე უკრაინის ეკლესიის რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში მოქცევის პირველმიზეზად რუსეთის მიერ მალოროსიის 1654 წლის ოკუპაციას ასახელებს. სინამდვილეში ავტორიტეტული ისტორიოგრაფია ამ მოვლენას არა ოკუპაციას, არამედ მიერთებას (воссоединение) უწოდებს, რადგან

მოსკოვის სამთავროსთან მიერთების ინიციატივა მოდიოდა მალოროსებისაგან, ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკის წინამძღოლობით. ამის უპირველესი მიზეზი კი ის იყო, რომ მალოროსიელი მართლმადიდებლები დიდ შევიწროებას განიცდიდნენ რეჩი პოსპოლიტას მხრიდან. ეს შეთავაზება რუსეთმა თავიდან არც კი მიიღო, რადგან იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მეფე ალექსანდრეს არ სურდა პოლონეთთან დაპირისპირება, მით უმეტეს, რომ მალოროსიელი კაზაკები 1648 წლიდან პოლონეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ხოლო პოლონეთი რუსეთის მოკავშირეს წარმოადგენდა თათრების წინააღმდეგ. გადაწყვეტილების მიღებას რამდენიმე კრების ჩატარება დასჭირდა. ზემსკის კრებაზე 1653წ 1 ოქტომბერს გადაწყდა ჰეტმან ბოგდან ხმელნიცკის წინადადების მიღება. შედეგმაც არ დააყოვნა – იმავე წლის 23 ოქტომბერს გამოცხადდა ომი რეჩი პოსპოლიტასთან, რომელიც 13 წელიწადს გაგრძელდა. საბოლოო გადაწყვეტილება მალოროსიის მიწების მოსკოვის რუსეთთან მიერთების შესახებ 1654წ 8 იანვარს (ძვ.სტ.) პერეიასლავსკის რადამ მიიღო.

მსგავსი მიკერძოებაა მეუფის წერილში, როდესაც ის ამტკიცებს, რომ უკრაინის ეკლესია მთელი ამ ხნის განმავლობაში თურმე კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში იყო, ხოლო რუსეთის იურისდიქციაში მხოლოდ შეზღუდული ფორმით იმყოფებოდა. ეს პირწავარდნილი ფანარას ისტორიოგრაფიაა და მსგავსი პრეტენზიები ფანარას საქართველოს ადგილობრივი ეკლესიის მიმართაც გააჩნდა და დღემდე გააჩნია: ამას მოწმობს პატრიარქ ბართლომეს მიერ რამდენიმე წლის წინ გამოთქმული პრეტენზია აფხაზეთის ეკლესიასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის ეკლესია თურმე საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში უკანონოდაა მოქცეული და იგი კონსტანტინოპოლის პატრიარქს უნდა ექვემდებარებოდეს. ამ მიმართულებით პატრიარქ ბართლომეს მიერ განხორციელებულ ქმედებებს აფხაზეთში დიდი შედეგები არ მოჰყოლია მხოლოდ იმიტომ, რომ აფხაზეთში მისი ინტერესები რუსეთის ინტერესებს ეჯახება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თუმცა კი რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს, რუსეთის ეკლესია აფხაზეთს დე იურე საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ერთეულად აღიარებს დღემდე.

რუსეთი რომ ოკუპანტია, საქართველოზე კარგად ეს ისტორიულად ცოტა ვინმემ თუ იცის. მაგრამ ნებისმიერი, მეტადრე საეკლესიო საკითხის განხილვისას აუცილებელია პოლიტიკური კონიუნქტურისაგან, მეტადრე რუსოფობიისაგან განთავისუფლება და საეკლესიო კანონიკური სამართლით ხელმძღვანელობა.

წერილში მეუფე ამბობს, რომ მსოფლიო საპატრიარქომ 2018წ მეოთხე მსოფლიო კრების მე–9 და მე–17 კანონების პრეროგატივით განკვეთილი ეპისკოპოსები კანონიკურ ეკლესიაში აღადგინა. ასეთი მსჯელობა თავდაყირა აყენებს საეკლესიო სამართალს და კვლავ ფანარასეულ კანონშემოქმედებას ეხმიანება. ხსენებული კანონების გამოყენება ეკლესიის არაწევრ სქიზმატებთან და ანათემირებულებთან მიმართებაში – სწორედ ასეთებად მიიჩნეოდნენ დენისენკო, ეპიფანე და სხვა პირები ეკლესიის სისავსისათვის, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩათვლით – ყოვლად დაუშვებელია. საერთოდ მეუფე სქიზმაზე მეტად იოლად საუბრობს და რჩება შთაბეჭდილება, რომ სქიზმატის ეკლესიაში

აღდგენა შეიძლება ყოველგვარი სინანულის გარეშე, თუკი ამას კონსტანტინოპოლის პატრიარქი მოისურვებს. ასეთი მიდგომა დიდი შეცდომაა და სქიზმის წისქვილზე ასხამს წყალს.

როდესაც მეუფე გასული საუკუნეების უკრაინას ახსენებს, არ აზუსტებს, რომ საუბარია რუსეთის სამთავროებზე, მალოროსიაზე, კიევის რუსეთზე და ა.შ. უკრაინა, როგორც სახელმწიფო იმ ტერიტორიებით, რომელიც მას დღეს გააჩნია, XX საუკუნის მოვლენაა, ის ვლადიმერ ლენინის ინიციატივით შეიქმნა და იოსებ სტალინის მიერ შეივსო იმ ტერიტორიებით, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად მეზობელ ქვეყნებს ჩამოეჭრა. მაშ, რომელ ეპარქიებზე აცხადებს პრეტენზიას პატრიარქი ბართლომე? მეუფე გიორგის ისტორიოგრაფიული ლოგიკით – მსოფლიო პატრიარქ დიონისეს, ანუ XVII საუკუნის დროინდელზე, მალოროსიის ზაპოროჟიეს სამთავროს ეპარქიებზე, რადგან უკრაინა თურმე მათი ოკუპაციის შედეგად მიიერთა რუსეთმა, რაც შემდეგ პატრიარქმა დიონისემ დე–იურე გააფორმა, ისიც ნაწილობრივ (?!). ასეა? ნურას უკაცრავად, პატრიარქ ბართლომეს პრეტენზია მთელ დღევანდელ უკრაინას მოიცავს, ლენინის მიერ მოხაზულსა და სტალინის მიერ შევსებულს. იქნებ მეტსაც, რაზეც დღევანდელი კიევის რეჟიმი აცხადებს პრეტენზიას, კერძოდ ყუბანსა და როსტოვზე?

რაც შეეხება დამოუკიდებლობას, ფრიად საინტერესოა, თუ როგორი "ავტოკეფალია" და "დამოუკიდებლობა" მიანიჭა პატრიარქმა ბართლომემ ტომოსის ბოძებით უკრაინის "ეკლესიას" ეპიფანეს მეთაურობით. ჰკითხეთ ამის შესახებ თავად ბატონ ეპიფანეს, რომელიც საჯაროდ და ღიად ჩიოდა, რომ „მოგვატყუა პატრიარქმა ბართლომემ, რომ არანაირი დამოუკიდებლობა არ მოუცია და რომ მიტროპოლიტ ონოფრეს ეკლესიას (უკრაინის კანონიკური ეკლესია) უფრო მეტი დამოუკიდებლობა აქვს, ვიდრე ჩვენო“. აი, ასეთია ფანარას "კანონიკური სამართალი".

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიხილებოდეს უკრაინის ეკლესიის საკითხი საეკლესიო სამართლის მიხედვით. 1686წ მსოფლიო პატრიარქმა დიონისე მეოთხემ კონსტანტინოპოლის ადგილობრივი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილების თანახმად უკრაინის მიტროპოლიის მართვის უფლება რუსეთის საპატრიარქოს მიანიჭა და შესაბამისად უკრაინის მიტროპოლია რუსეთის ეკლესიის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადავიდა, რომელსაც იგი მართავდა სრული იურიდიული სისავსით. ეს მიიღო და ცნო ყველა ადგილობრივმა ეკლესიამ და არ იწვევდა რაიმე დავას საუკუნეების მანძილზე.

უკრაინის კანონიკურ ეკლესიას, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ონოფრე და რომლის მღვდელმთავრების, სამღვდელოებისა და მრევლის აბსოლუტურ უმრავლეობას უკრაინის მოქალაქეები, მათ შორის ეთნიკური უკრაინელები შეადგენენ, არ დაუყენებით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინაშე ავტოკეფალიისა და ტომოსის მიღების საკითხი, შესაბამისად მეოთხე მსოფლიო კრების განჩინებების მოხმობა სრულიად უსაფუძვლოა. უკრაინის სქიზმატური ეკლესიის შექმნას ცდილობდა უკრაინის იმდროინდელი მარიონეტი უნიატი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო, უკრაინის რადა და უკრაინის მიტროპოლიასთან განხეთქილებაში მყოფი ორი დაჯგუფება, კერძოდ ე.წ. "კიევის

საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია" - ასე უწოდებს დაჯგუფება თავის თავს – რომელიც 1992წ გამოეყო დედა ეკლესიას, რის გამოც ამ დაჯგუფების ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ ფილარეტს (დენისენკო) ჯერ აეკრძალა მღვდელმსახურება, ხოლო შემდეგ იგი სქიზმატური დაჯგუფების ჩამოყალიბებისათვის გადაეცა ანათემას; და მეორე დაჯგუფება, უკრაინის "ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია", რომელიც 1921წ საბჭოთა ხელისუფლების ხელდასხმით შეიქმნა, მაგრამ შემდეგ ფაშისტურ გერმანიასთან კავშირების გამო საბჭოთა ხელისუფლების მიერვე იდევნებოდა და ამის გამო მან თავის თავს კატაკომბური ეკლესია უწოდა. ამჟამად ამ დაჯგუფებას ცრუ მიტროპოლიტი მაკარი (მალეტიჩი) ხელმძღვანელობს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას სწორედ ამ ორ დაჯგუფებაზე დაყრდნობით ახორციელებდა, როდესაც მოაწყო კრება და ცრუ მიტროპოლიტი ეპიფანე უკანონოდ აღიარებული "ეკლესიის" ხელმძღვანელად გამოარჩია, რაც საეკლესიო მოწყობის ყველა კანონს ეწინააღმდეგება.

ამას გარდა არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ფილარეტის 1997წ ანათემა სცნო მრავალმა ადგილობრივმა ეკლესიამ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩათვლით, რის შესახებაც თავად პატრიარქმა ბართლომემ 1999წ რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი მიტროპოლიტ ფილარეტისათვის ხარისხის აყრასთან და ანათემირებასთან დაკავშირებით რუსეთის ეკლესიის მიერ მიღებულ ყველა კრებსით გადაწყვეტილებას დაეთანხმა. მას შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს თავის პოზიციაში არანაირი შესწორება არ შეუტანია. ანუ ისე გამოვიდა, რომ უკრაინის "ეკლესიის" ჩამოყალიბებით კონსტანტინოპოლის პატრიარქმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ადრინდელ ოფიციალურ პოზიციასაც გადააბიჯა. ხსენებული გადაწყვეტილებები კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდმა მიიღო ცალმხრივად, უგულვებელყო რა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სისავსის, ასევე სხვა ადგილობრივი ეკლესიების წარმომადგენელთა მოწოდებები, მომხდარიყო საკითხის სრულიად მართლმადიდებელური განხილვა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ადგილობრივი ეკლესიის სქიზმატებთან და ანათემატებთან ურთიერთობაში შესვლას, სხვისი კანონიკური სამფლობელოს ხელყოფას, საკუთარი ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ვალდებულებების უარყოფას კონსტანტინოპოლის საპატრიარქო (და ყველა ის ადგილობრივი ეკლესია, რომელიც მას მხარს დაუჭერს ამ საკითხში) გაყავს ეკლესიის კანონიკური ველიდან და დიდი განხეთქილების მომწყობად გვევლინება.

ათიოდე წლის წინ პატრიარქი ბართლომე მის მიერ კონსტანტინოპოლში მოწვეულ კრებაზე გამოვიდა მოხსენებით და კერძოდ აღნიშნა, რომ იგი, როგორც მსოფლიო პატრიარქი, კანონიკური წესის თანახმად, არის მსოფლიო მართლმადიდებლობის ყველა ადგილობრივი ეკლესიის კოორდინატორი. ეს პირწავარდნილი თვითმარქვიობაა, რადგან ასეთი კანონიკური წესი და კოორდინატორის ტიტული არ იცის ქრისტეს ეკლესიამ. ამით ბართლომეს სურს

მართლმადიდებლობის პაპად მოგვევლინოს, რათა თავის ძალაუფლებას დაუქვემდებაროს მთელი ეკლესია, ადგილობრივი ეკლესიების ჩათვლით. სწორედ ამ ლოგიკაში ჯდება მისი ქმედებები და კერძოდ უკრაინის "ეკლესიის" ჩამოყალიბებაც.

რეალურად კი მეორე მსოფლიო კრების მე–3 კანონისა და მეოთხე მსოფლიო კრების 28–ე კანონის თანახმად კონსტანტინოპოლის, ანუ მსოფლიო პატრიარქს სხვა ადგილობრივ ეკლესიათა საპატრიარქო საყდრებთან მიმართებაში უპირატესი პატივი აქვს მინიჭებული. იგი პატივით უპირატესია თანასწორთა შორის, თუმცა ეს სტატუსი არ აძლევს მას სხვა ადგილობრივი ეკლესიების სივრცეში მოქმედების უფლებას. პატრიარქ ბართლომეს არანაირი უფლება არ ჰქონდა გაეუქმებინა ეკლესიის სისავსის მიერ აღიარებული რუსეთის მმართველობა უკრაინაში, მისი ანათემატიზმები და სხვა საეკლესიო გადაწყვეტილებები. მით უმეტეს გაუგონარია მის მიერ სქიზმატური საკრებულოსთვის უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის სტატუსის მინიჭება და ამ აქტს დიდი სქიზმის პროვოცირების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს.

ამგვარად მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ ორი მნიშვნელოვანი დარღვევა ჩაიდინა: იმოქმედა სხვა ადგილობრივი ეკლესიის სივრცეში და თვითნებურად მოუხსნა ანათემა პიროვნებას, რომელსაც სინანულიც კი არ გამოუჩენია ჩადენილი ცოდვის გამო. პატრიარქმა ბართლომემ ეს ქმედებები ჩაიდინა ადგილობრივი ეკლესიის პატრიარქ კირილესთან და კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრესთან შეუთანხმებლად, რაც წარმოადგენს რიგი საეკლესიო კანონების უხეშ დარღვევას, როგორებიცაა: ტრულის კრების 20–ე კანონი, მე–2 მსოფლიო კრების მე–2 კანონი, ანტიოქიის კრების მე–13 და სარდიკიის კრების მე–11–12 კანონები. ამასთან ერთად, მოქმედი კანონების, კერძოდ მოციქულთა მე–10-11 კანონების თანახმად, ფილარეტ დენისენკოს, იქიდან გამომდინარე, რომ მან განკვეთის შემდეგ გააგრძელა მღვდელმსახურება, გასაჩივრების უფლებაც კი აღარა ჰქონდა. ამავე დროს, ის სასულიერო პირები, რომლებიც ფილარეტთან ერთად ღვთისმსახურებას აღასრულებენ, იმავე კანონების თანახმად, ასევე ექვემდებარებიან ეკლესიიდან განკვეთას.

ორიოდე სიტყვა მსოფლიო საპატრიარქოზეც უნდა ითქვას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი მაშინ იყო რეალურად მსოფლიო პატრიარქი, როდესაც კონსტანტინოპოლი მართლმადიდებლობის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იყო. ამასთან პოლიტიკური სიძლიერე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რელიგიური, რათა ძლიერი პოლიტიკური ცენტრი გარე ძალებისა და ეკლესიის მტრების გავლენის, მით უმეტეს მართვის ინსტრუმენტად არ ქცეულიყო, რასაც სამწუხაროდ დღეს ვხედავთ. 1948წ აშშ–ის სპეცსამსახურებმა კონსტანტინოპოლის იმდროინდელი არამართული პატრიარქი ბასილი ეკლესიის მართვას ჩამოაცილეს და ფსიქიატრიულ კლინიკაში გამოკეტეს, ხოლო მის მაგივრად ამერიკის მთავარეპისკოპოსი ათინაგორა პრეზიდენტ ტრუმენის თვითფრინავით ჩამოაბრძანეს და კონსტანტინოპოლის კათედრაზე აღასაყდრეს. იმ დროიდან მოყოლებული კონსტანტინოპოლის პატრიარქი აშშ–ის სპეცსამსახურების

ნომენკლატურად იქცა. ეს არც იმალება: გაიხსენეთ - როდესაც პატრიარქმა ბართლომემ სუპერეკუმენისტური კრეტის ე.წ. კრება ჩაატარა, კრების მუშაობას პერიმეტრზე სწორედ აშშ–ის სპეცსამსახურები ღიად და დეკლარირებულად იცავდნენ.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ზემოთ ხსენებულ ქართველ იერარქთა მხრიდან სქიზმატური ეკლესიისთვის მხარდაჭერა ეწინააღმდეგება საეკლესიო სამართალს და დიდი სქიზმის პროვოცირების ნიშნებს შეიცავს. მეორე მხრივ ასეთი მიდგომა უპასუხისმგებლო და საფრთხის შემცველია, რადგან ამან შეიძლება ხელ–ფეხი გაუხსნას რუსეთის ეკლესიას, სცნოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეკლესიების დამოუკიდებლობა, რასაც იგი დღემდე არ აკეთებს. ის, რომ რუსეთის ეკლესია ოფიციალურად დღემდე ამ რეგიონების ეპარქიებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში მყოფ კანონიკურ ერთეულებად მიიჩნევს, არის ერთადერთი წანამძღვარი საქართველოს ერთიანობისა და ამ ერთიანობის აღდგენის ერთადერთი წინაპირობა. უპასუხისმგებლო განცხადებებმა და ქმედებებმა შესაძლოა მოვლენების არასასურველი მიმართულებით განვითარებას შეუწყონ ხელი. ასევე, თუკი საქართველოს ეკლესია ცნობს უკრაინის სქიზმატურ ეკლესიას - რითაც ფაქტობრივად გაამართლებს პატრიარქ ბართლომეს უკანონო ქმედებას - ასეთი ქმედება ბართლომემ აფხაზეთის მიმართაც შეიძლება მოიმოქმედოს (არ თქვას ვინმემ, რომ მოეხათრება) და იგი თავის იურისდიქციაში გამოაცხადოს.